ბრძანება:**ბ14. 14240607**
თარიღი:**29/02/2024**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.გ“, „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 76-ე მუხლის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების (2025-2028 წ.წ.) დოკუმენტის მოსამზადებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფი, თანახმად დანართი 1-ისა;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების (2025-2028 წ.წ.) დოკუმენტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი, თანახმად დანართი 2-ისა;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულების და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსირებადი ორგანიზაციების მიერ პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით წარმოსადგენი ინფორმაციის ნუსხა, თანახმად 3-დან 9-ის ჩათვლით დანართებისა.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს:

ა) ცხრილებისა და ფორმების მიწოდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებზე და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე 2025-2028 წლებისათვის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროგრამების და ქვეპროგრამებისათვის საჭირო საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშების შესადგენად, ასევე შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების გასაანგარიშებლად (რომელთა ადმინისტრირებაზეც არიან პასუხიმგებელი);

ბ) საბიუჯეტო განაცხადის ფორმების მომზადება;

გ) ბიუჯეტის პროექტის მომზადება საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 28 თებერვლის №ბ14.142305911 ბრძანება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი